დანართი №5

შ.პ.ს. "პრივატსერვისი"

PRIVATSERVICE LTD

[illegible] 149; ფაქსი 95-74-13; ტელ. 94-09-65

[illegible] Fax: 95-74-13; Tel.: 94-09-65



პირობითი აღნიშვნები

საკადასტრო აზომვა

ხელშეკრულების № 5627

დამკვეთი	შ.პ.ს. "მარკო"	[illegible]		[illegible]
მისამართი	[illegible]	[illegible]		[illegible]
		[illegible]		[illegible]
აზომვა ჩატარდა 25.12.04		მასშტაბი 1:500	20-Г-2 83-364	01.03.04

10

საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის
სახელმწიფო დეპარტამენტი

გკ № 004
(სერია და ნომერი)

13 თებერვალი 2004წ. ქ. თბილისი

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და აეროგადაღებითი საქმიანობის

ნებართვა

ეძლევა შპს „პროგეოსერვისი"
(მეწარმე-სუბიექტის სრული დასახელება)

თბილისი, პეტრიაშვილის ქ. 9 კოდი 202196970
(იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო კოდი)

მასზედ, რომ მას უფლება აქვს განახორციელოს ტოპოგრაფიულ-
გეოდეზიური

საქმიანობა

ყოველი მომდევნო წლის 15 თებერვლამდე წარმოდგენილი უნდა იქნეს წლიური ანგარიში ობიექტების სახეობებისა და მოცულობების ჩვენებით

ნებართვა ძალაშია 13 თებერვალი 2007 წლამდე

დეპარტამენტის თავმჯდომარე ______ გ. ქექელიძე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილსიის არქიტექტურის სამსახურს

შპს „მაიკო"-ს დირექტორის, მერაბ გვილავას (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანსა და გლდანის გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორია (ქ. თბილისი, საქ. სამხედრო გზასა და დიდი დიღმის შემაერთებელი მაგისტრალის გადაკვეთაზე); საკ. ტელ: 599 50 49 17)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „მაიკო"-ს შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემდეგ განხორციელდა მიმდებარედ გზის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებდა დამცავი კედლის ამოყვანას საზოგადოების კუთვნილი ტერიტორიის ბოლოს, რომელიც არ განხორციელდა. აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს შენობა-ნაგებობის მდგრადობაზე და ხდება პერიოდულად მოვარდნილი ღვარცოფებისა და წვიმების შედეგად მიწის ჩამორეცხვა და შენობის დაზიანება.

სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს" მიერ, ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე, გლდანის გადასახვევთან არსებული „მაიკო"-ს ავტოგასამართი სადგურის ჩრდილოეთით „ფლატის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ გაცემული გეოლოგიური დასკვნის თანახმად:

„ფლატე, რომლის დახრის კუთხე მერყეობს 30-დან 45°-მდე, აგებულია ფენა №1-ის ქანებით, სადაც შინაგანი ხახუნის კუთხე 16°, ხვედრითი შეჭიდულობა 0,225 კგ/სმ², ფორიანობა 44%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დროთა განმავლობაში ადგილი ექნება ფერდობის ჩამოშლას და ჩამორეცხვას, რაც საფრთხეს შეუქმნის ფლატის სიახლოვეს მდგარ შენობა-ნაგებობას და გლდანი – დიღომის შემაერთებელ გზის მონაკვეთს.

აუცილებლად მიგვაჩნია ფლატის გასწორება, მისი ჩამოქცევისა და ჩამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, შენობა ნაგებობის დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ფლატის ზედა პირამდე დამცავი კედლის მოწყობა."

აღნიშნული დასკვნის თანახმად. *„ფლატე დახრის კუთხე მერყეობს 30-დან 45°-მდე და წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალის ზედა ტერასას. ფლატის სიმაღლე დასავლეთით 4 მ-მდეა, აღმოსავლეთით 2 მ-მდე. მისი სიგანე ჰორიზონტალურ პროექციაში 5 მ-ია."*

1

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, გრუნტის ზედაპირიდან 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას.

ამავე დადგენილების 66-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: *„I კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა."*

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის დეფინიციიდან გამომდინარე: *„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები, პირობები და I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობები, რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის ან/და ამ დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე იქნება შესაძლებელი."*

ხოლო 66-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად: *„მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო 5 დღის ვადაში წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტების საფუძველზე წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობა/მონტაჟის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობას და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას."*

ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით და შექმნილი კატასტროფული სიტუაციის გათვალისწინებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული კერძო საკუთრების განადგურება, ვთხოვთ გასცეთ დასტური აღნიშნული ღობის მშენებლობაზე, განცხადებაზე დართულ ფოტო-მონტაჟზე ასახული ნაგებობის სახით.

აღნიშნულ განცხადებაზე პასუხი, გთხოვთ გვაცნობოთ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. კალანდაძის 10, ბ. 12.

მსგავს დამცავ კედლებზე დასტური გაცემულია გაგარინის დაღმართსა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (ფოტო მასალა განცხადებას თან ერთვის).

დანართი: 1 შპს „მაიკო"-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან – 2 ფ;

2. შპს „მაიკო"-ს უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – 2 ფ;

3. 1999 წლის 10 მარტის საკადასტრო რუკა – 1 ფ;

4. 2005 წლის 14 მარტის საკადასტრო რუკა – 1 ფ;

2

5. საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის 2004 წლის 13 თებერვლის გკ№004 ნებართვა და საკადასტრო ანაზომი – 2 ფ;

6. ქ. თბილისის მერიის თბილისი არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა – 1ფ;

7. სიტუაციური გეგმა – 2 ფ;

8. ღობის ფოტო მონტაჟი – 2 ფ;

9. CD დისკი – 1 ც;

10. გეოლოგიური დასკვნა – 3 ფ;

11. დამცავი კედლების ამსახველი ფოტო-მასალა – 8 ფ;

პატივისცემით,

შპს „მაიკო"-ს

დირექტორი: /მ. გეილავა/

დანართი №10

სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო“

გეოლოგიური დასკვნა

ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე. გლდანის გადასახვევთან არსებული „მაიკო“-ს ავტოგასამართი სადგურის ჩრდილოეთით ფლატის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ

დირექტორი ბ. გალდავა

გეოლოგი ჯ. ქორთბაია.

თბილისი

2014 წ.

18

2002 წლის აგვისტოში ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე გლდანის გადასახვევთან, „მაიკო"ს ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციისა და გაფართოების მიზნით გამოყოფილ ფართობზე ნატარდა გრუნტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. გაბურღული იქნა 3 ჭაბურღილი სიღრმით 5 მ.

კვლევის მიზანი იყო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური აგებულების შესწავლა და დასაპროექტებული ნაგებობების დასაძირკვლების პირობების დადგენა.

აღნიშნულ უბანზე ფლატე მდებარეობს ავტოგასამართი სადგურის შენობიდან ჩრდილოეთით, ის იწყება საქართველოს სამხედრო გზის ესტაკადის (ხიდის) საყრდენი კედლიდან და მიუყვება გლდანი - დიდი დიღომის შემაერთებელ გზას აღმოსავლეთის მიმართულებით. შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის დასავლეთი ბოლოდან ფლატის ზედა პირამდე 2 მ-ია, აღმოსავლეთ ბოლოდან კი 11 მ. შენობის ჩრდილო-დასავლეთ კედლიდან ფლატის ზედა პირამდე 3 მ-ია.

ფლატეს დახრის კუთხე მერყეობს 30-დან 45°-მდე და წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალისზედა ტერასას. ფლატის სიმალლე დასავლეთით 4 მ-დეა აღმოსავლეთით 2 მ-დე. მისი სიგანე ჰორიზონტალურ პროექციაში 5 მ-ია.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების თანახმად უბანი ძირითადად აგებულია მაიკოპის სერიის ქვიშაქვებით და არგილიტებით, რომლებიც იფარებიან მეოთხეული ალუვიური კენჭნარებით, დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი გრუნტებით და ნიადაგის. ფენით საფარი ქანების ჯამური სიმძლავრე 10 მ-მდე აღწევს.

გრუნტის წყლის დამყარებული დეომის დონე 6-7 მ-მდე ფიქსირდება.

შესრულებული სამთო-გაყვანითი სამუშაოების, საფონდო და ლაბორატორიული მასალების საფუძველზე, უბანზე გამოიყოფა 2 ფენა:

ფენა № 1 – ნაყარი გრუნტი, სიმძლავრით 1.6-2.0 მეტრი. წარმოდგენილია თიხნაროვანი გრუნტით, კენჭების, ლოდების, სამშენებლო მასალების ნარჩენებით.

ფენა № 2 – თიხნარი მოყვითალო ხვინჭის ჩანართით, კარბონატული, ხასიათდება ქვიშოვანი მინარევებით /10%-მდე/. ფენა უწყლოა. ფენის ხილული სიმძლავრე 3.0-3.4 მეტრია.

ქვემოთ მოგვყავს გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური ძირითადი მაჩვენებელი:

- სიმკვრივე P – 1.92
- ტენიანობა W – 26%

19

- ფორიანობა	n – 44%
- ფორ. კოეფიციენტი	e – 0,788
- კონსისტენცია	J – 0,7
- ტენიანობის ხარისხი	S_r – 0,95
- შინაგანი ხახუნის კუთხე	φ - 16^0
- ხვედრითი შეჭიდულობა	c – 0,225 კგ/სმ^2
- დეფორმაციის მოდული	E 80კგ/სმ
- საანგარიშო წინაღობა	R_e – 1,8 კგ/სმ^2

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ფლატე, რომლის დახრის კუთხე მერყეობს 30-დან 45^0-მდე, აგებულია ფენა №1-ის ქანებით, სადაც შინაგანი ხახუნის კუთხე 16^0, ხვედრითი შეჭიდულობა 0,225 კგ/სმ^2, ფორიანობა 44%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დროთა განმავლობაში ადგილი ექნება ფერდობის ჩამოშლას და ჩამორეცხვას, რაც საფრთხეს შეუქმნის ფლატის სიახლოვეს მდგარ შენობა-ნაგებობას და გლდანი – დიღომის შემაერთებელ გზის მონაკვეთს.
2. აუცილებლად მიგვაჩნია ფლატის გასწვრივ, მისი ჩამოქცევისა და ჩამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, შენობა ნაგებობის დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ფლატის ზედა პირამდე ჯამცავი კედლის მოწყობა.
3. სეისმურობად მიღებული იქნას 8 ბალი.
4. ზემოთ რეკომენდირებული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში უბანზე უარყოფითი ხასიათის ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

გეოლოგი ჯ. ჭირთბაია

20

ლიცენზია №3

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003866
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

საკადასტრო რუკა მასშტაბი: 1:500 მიწის ნაკვეთი: სარეგისტრაციო № 740/99 საკადასტრო № 1 / 13 / 1 / 1/2 ზონა-თბილისი / სექტორი დიღომი / კვარტალი / ნაკვეთი მისამართი: საქართველოს სამხედრო გზისა და დიდი დიღმის შემაერთებელი მაგისტრალის გადაკვეთაზე თარიღი: 10.03.99 წ. ფართობი: 1894 კვ.მ. მოსარგებლე: შ.პ.ს. „მაიკო"	**საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი რეგისტრატურა №1** ბ.ა. ქ.შენგელია სახელმწიფო რეგისტრატორი



№ 512-99 წ.

8

დანართი №4

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

საკადასტრო რუკა

მასშტაბი: 1:500

მიწის ნაკვეთი: სარეგისტრაციო № 16036/...

	ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
საკადასტრო №	1	13	1	1/2
	თბილისი	დიდუბე		

მისამართი: საქართველოს სამხედრო გზასა და დიდი დიღმის შემაერთებელი მაგისტრალის გადაკვეთაზე

თარიღი: 14.03.03წ. ფართობი: 1894 კვ.მ.

მოსარგებლე: შ.პ.ს. „მაიკო"

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი
რეგისტრატურა №1

ბ.ა.

ნ. ბახტაძე
სახელმწიფო რეგისტრატორი

